ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** კვირა, 15 ივლისი № 1524

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ტილოსა და თეთრეულის ს. პ. დოროფეევის ტფილისის მაღაზიაში

(სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი) არსებულის წესით ყოველ წლს ივლისში ინიშნება საქონლის **იაფ ფასად გაყიდვა.** 16 ივლისიდან 22-მდე, ე. ი., 16, 17, 18, 19, 20 და 21 ივლისს გასაყიდათ დანიშნება, 25-დან 50%-მდე ფასდაკლებით 25,000 ნაჭერზე მეტი, რომელიც მაღაზიას გაუგიდავი დარჩა წარსულ წლიდან და რომელიც მართლა **იაფად გაიყიდება. გასაყიდლად დანიშნულია:** ტილოს და ბამბის ქსოვილი: საუკეთესო ფაბრიკების ტილო სხვა-და-სხვა სიგანისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა ფერის ქსოვილები: სარფინკა, ბატისტი, ჩითი და სხვ; ტილოს სუფრა არშინობით, ხელ-სახოცი და პირ-სახოცი; ცხვირ-სახოცი; თეთრი ჩითის საბნები, სხვა-და-სხვა ფერის საბნები; ზეწრები; ჩაის მაგიდის სუფრა; ბალიშები; ხავერდის ხალიჩები; ფანჯრებისა და კარების სხვა-და-სხვა ფერის ფარდა; გარდინები. **კაცის და ქალის თეთრეული** (აიფად); წინდები, ფილდიკოსის პერანგები და პერანგის ამხანაგები მამა-კაცთა და დედა-კაცთათვის და ფუფაიკები. **სუფრის მოწყობილობა** 6, 12 და 24 კაცისათვის; სუფრა საზღვარ-გარეთული, ბაიკის საბანი, ჩესუჩა და პარუსინა. **ყველა საქონელზე აღნიშნულია ფასები**, როგორც ნომანალური, ისე დაკლებული. **ნიმუში ფასებისა:** კანაფის წმინდა ტილო 18 კაპ. და მეტი; მდარე სუფრა 3/4 50 კაპ. და მეტი; ბამბის პირსახოცი 22½ კაპ. თითო; ჩაის მაგიდისთვის სუფრა 7 კაპეიკიდან არშინი; რბილი მოდაპალანი 10 კაპეიკიდან; საბანი 60 კაპეიკიდან; სხვა და სხვა ფერის პერანგი 50 კაპეიკიდან; თეთრეული 60 კაპეიკიდან თითო; ქალის ბლუზა ნახევარფასად. **შენიშვნა.** იაფ-ფასიანი გაჭრობა მხოლოდ **ნაღდ ფულზე** სწარმოებს. **ვაჭრობის წეს-რიგი:** მაღაზია გაღებულია დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 8-მდე. (1—1)

კიდევ ბათუმის საქალაქო საქმეების გამო

დასრულდა პირველი ფაზისი ბათუმის საბჭოში 25 ივნისს მომხდარ ინციდენტისა: ქუთ. გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ უკანონოდ იცნო ბ. ვოლსკისა და საბჭოს უმრავლესობის მოქმედება და სამართალში მისცა ისინი.

წარსულ წერილში*) ჩვენ თითქმის არაფერი გვითქვამს ბ. ვოლსკისა და საბჭოს უმრავლესობის მოქმედების შესახებ; ჩვენ აქ ყურადღება მივაქციეთ 25 ივნისის სხდომის პირველ ნახევარს, რომელიც შეეხებოდა მხოლოდ ბ. ივანოვს. ჩვენ ვფიქრობდით—და დღესაც ამასვე ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივ ინტერესების მხრით უფრო საყურადღებოა ბ. ივანოვის მოქმედება, ვიდრე ბ. ვოლსკისა. მართალია, ბ. ვოლსკი ფორმალურ კანონის წინააღმდეგ მოიქცა, მაგრამ საზოგადოებრივ ინტერესებსა და თვით-მმართველობის მოღვაწეობას მისი მოქმედება ვერავითარ არსებითს ვნებას ვერ მოუტანდა. ამიტომ მის მოქმედებას კანონი და სამართალი ვერ შეხედვენ მკაცრად, მით უმეტეს, რომ ბ. ვოლსკისა და საბჭოს გასამართლებელი საბუთები აქვთ ხელში...

ჩვენ არ ვიცით, როგორ გადასწყვეტს სასამართლო ამ საქმეს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ არ შეიძლება მან უყურადღებოდ დასტოვოს ბ. ივანოვის მოქმედება; არ შეიძლება იმიტომ, რომ ამ გარემოებას დიდი კავშირი აქვს ბ. ვოლსკისა და საბჭოს საქმესთან: თუ განხილულ-დაფასებული არ იქმნა ბ. ივანოვის მოქმედება 25 ივნისის სხდომაზე, მაშინ გაუგებარი დარჩება ამ სხდომის დაბოლოვება.

ჩვენ უკვე გავარჩიეთ წარსულ წერილში ბ. ივანოვის მოქმედება; ჩვენ ვნახეთ მაშინ, რომ ბ. ივანოვმა უკანონოდ იკისრა თავმჯდომარეობა. გუბერნატორის განკარგულების შემდეგ, რომლითაც ის დაინიშნა გამგეობის წევრად, ის გახდა გამგეობის უნცროს წევრად და აღარ ჰქონდა უფლება, განეგრძო ქალაქის თავის მოადგილის თანამდებობის აღსრულება. მაშასადამე, ივანოვმა უკანონოდ მიითვისა თავმჯდომარის სავარძელი და 25 ივნისის სხდომის უკანონო მსვლელობა აქედან დაიწყო. ეს უწესოება რომ არ ჩაედინა ბ. ივანოვს და, კანონის მოთხოვნილებისამებრ, თავმჯდომარეობა ბ. ვოლსკისათვის გადაეცა, სამწუხარო ინციდენტს ადგილი აღარ ექნებოდა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ბ. ივანოვსა და მის მომხრეთ სრულიადაც არ ჰსურდათ ეს სხდომა ნორმალურად გათავებულიყო: მათ კარგად იცოდნენ, რომ საბჭო ბ. ვოლსკის აირჩევდა მოადგილედ, ესე იგი, მოახდენდა მათთვის არა სასურველს აქტს.

როგორ მოხდა, რომ არც ვოლსკიმ, არც საბჭომ წინააღმდეგობა არ გაუწია ბ. ივანოვს და არ უჩვენა მას უკანონობა? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბ. ვოლსკიმ, როგორც გამოცდილმა მოღვაწემ, კარგად იცოდა, ვის ეკუთვნოდა იმ დღეს თავმჯდომარის ადგილი. ხოლო თუ არც მან, არც საბჭომ კრინტი არ დასძრეს. ბ. ივანოვის წინააღმდეგ, ეს, ალბათ, იმით უნდა აიხსნას, რომ მათ არ ჰსურდათ სკანდალის გამოწვევა, ერიდებოდნენ უბრალო და უადგილო კინკლაობას და მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ იმას, თუ ვინ იქნება თავმჯდომარედ. გარდა ამისა, ბ. ვოლსკი, ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში იყო: საბჭოს არჩევნები უნდა მოეხდინა მისსა და ბ. ივანოვის შუა და თავაზიანობამ, ალბათ, ნება არ მისცა ბ. ვოლსკის ძალით ეგდო ხელთ თავმჯდომარეობა იმ სხდომაზე, რომელზედაც მისი არჩევანი უნდა მომხდარიყო. თუ ამას დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ საბჭო წინდაწინვე დაამშვიდეს ბ. ივანოვის დამქაშებმა, ადვილად გავიგებთ, თუ რად სდუმდა საბჭო ბ. ვოლსკისთან ერთად, როდესაც ხედავდა ბ. ივანოვის უკანონო მოქმედებას.

რომ ბ. ივანოვი უკანონოდ მოიქცა, ამას თვით საქალაქო საქმეთა საკრებულოს გარდაწყვეტილება გვეუბნება. საკრებულომ დაადგინა—ხელ-ახლავ მოხდეს ქალაქის თავის მოადგილის არჩევნები და წინადადება ამ არჩევნების მოხდენის შესახებ ბ. ვოლსკის მისცა. ამით საკრებულომ ავტორიტეტულად შეამოწმა, რომ ამ ჟამად, ესე იგი, მას შემდეგ, რაც ივანოვი გამგეობის წევრად დაინიშნა, საბჭოს სხდომებზე თავმჯდომარედ ბ. ვოლსკი უნდა იქმნეს. საკრებულოს ამ დადგენილებას დიდი მნიშვნელობა აქვს: მან უნდა ჩააჩუმოს ის ვაჟბატონები, რომელნიც, პალმის მეთაურობით, ბუკსა და ნაღარას სცემენ სხვის „უკანონობაზე“ და თავის თვალში-კი დვირეს ვერ ამჩნევენ. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ „დვირეს“ სამართალი გამოსჩრეკს და ცოტად თუ ბევრად ალაგმავს იმ თავხედ «მოღვაწეთა» განგაშს, რომელთაც თავის კერძო ინტერესებისათვის ასტეხეს ეს დავი-დარაბა და რომელთა ფარული საწადელია—სახელი გაუტეხონ პატიოსან და მხნე საზოგადო მოღვაწეთ, რათა შემდეგში ხელში ჩაიგდონ ქალაქის საქმეთა მართვა-გამგეობის საქმე, რომელიც მათთვის წარმოადგენს მხოლოდ საძიძგნელ «გემრიელ ლუკმას».

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1516.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

13 ივლისა.

პეტერბურგი. კანონთა კრებულში გამოცხადებულია, რომ რუსეთის ნავთ სად-

---

ფელეტონი

ისტორიულ მატერიალიზმის გამო*)

III

თუმცა „ივერია“ წინააღმდეგია „სოციალურ თეორიების განყენებულ კვლევა-ძიებისა“, ჩვენ მაინც გვსურს დავაბოლოვოთ საუბარი ამ ფრიად საყურადღებო კითხვებზე. და თუ ამ ჩვენს საუბარს ცოტა არ იყოს აქვს განყენებული ხასიათი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს საქმე გერმანელ მწერლებთან, რომელთათვის „განყენებული საუბარი“ ჩვეულებრივი სტიქიონია. თუ შეხვედით იმათ აზრების გარკვევაში, თქვენც უნებლიეთ უნდა დაემორჩილოთ განსაზღვრულ სიტყვიერებას, ურომლისოდაც მწერლის აზრი გაუგებარი დარჩება მკითხველისათვის.

ამისათვის, ნურას უკაცრავად, მკითხველო, გავსინჯოთ ამ წერილში ის, თუ რამდენად შესაწყნარებელია ისტორიულ მეცნიერებაში „დიალექტიკის“ შემოღება და რამდენად მეცნიერულია მარქსისაგან მოწონებული ჰეგელის „დიალექტური მეთოდი“.

მარქსის დიალექტიურ განვითარების აზრის გასაგებად საჭიროა რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ ის, თუ როგორ ესმოდა ჰეგელს ისტორიის განვითარების პროცესსი. რა ამოძრავებს ცხოვრებას, რა არის ცვალებადობის უმთავრესი მიზეზი? არსებობს, ამბობს ჰეგელი, ღვთაებრივი სული, „მსოფლიო ისტორიული სული“, რომელიც მუდამ მოძრაობაშია. ბუნება მხოლოდ სარკეა ამ სულის, ამ აბსოლიუტურ ცნებისა, იმ გვარი სარკეა, რომელშიაც გამოისახება (გამოიჰვრიტება) სულის, იდეის თვისება. მხოლოდ, როგორც ვსთქვით, ეს აბსოლიუტური სული მუდამ მოძრაობაშია. და ამ „სულის“, იდეის განვითარება იმგვარია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს „ჰოსაც“ ამტკიცებს, დ „არასაც“. როდესაც იგი «ჰოს» ამტკიცებს, ეს „ტეზისის“ დაყენებას მოასწავებს, როდესაც „არას“—«ანტიტეზისის». მხოლოდ „ტეზისი“ და „ანტიტეზისი“ (ჰო დ არა) ხელმეორედ „ჰოში“—„სინტეზისში“ ერთდება.

ამ გვარ აზრის, იდეის განვითარებას ჰეგელი „დიალექტიურ“ განვითარებას უწოდებს. და ეს „დიალექტიური“ განვითარება არის მხოლოდ ცნების თვით-განვითარება (саморазвитіе понятія). მხოლოდ ბუნება სარკეა აბსოლიუტურ იდეისა, იდეის დაახლოვებითი გამოსახვაა, ამისათვის ბუნებასაც უნდა ეტყობოდეს „დიალექტიურ“ მოძრაობის პროცესსი. ამა თუ იმ მოვლენის არსებობა ბუნებაში—„ტეზისია“; მხოლოდ მოვლენა ვითარდება, სხვაფერდება და თან-და-თან სრულებით იცვლება, ეს არსებულ მოვლენის უარ-ყოფაა „ანტიტეზისი“. და ეს ახლად წარმოშობილი მოვლენა იმავე კანონს ექვემდებარება და თავის მხრითაც იცვლება და გამოიხატება კიდევ ახლად გაჩენილ მოვლენაში—ეს სინტეზისია (უარ-ჰყოფა უარ-ჰყოფისა, отрицаніе отрицанія).

არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკანასკნელი და უმთავრესი მიზეზი ამ მოძრაობისა, ჰეგელის შეხედულობით, „მსოფლიო ისტორიული სულია“ და დიალექტიური (ბუნების და ცხოვრების) პროცესსი პროცესსია ცნების თვით-განვითარებისა (саморазвитіе понятія). ბუნებასა და ცხოვრებას ამ მეტაფიზიკურ აზრის მოგზაურობის ბეჭედი აზის.

როგორც ვხედავთ ჰეგელის «დიალექტიკა» წმინდა მეტაფიზიკური ცნებაა, რადგან იგია განყენებულ, ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ, აზრის განსაზღვრული განვითარება. აბსოლიუტურ იდეის არსებობის დამტკიცება იყო საჭირო და მერე შეიძლებოდა ლაპარაკი იმაზე, თუ რა რიგად და რა გზით ვითარდება ეს იდეა. ამაშია ჰეგელის „დიალექტიკის“ არა-მეცნიერული ხასიათი. რაიცა შეეხება ბუნებაში გადმოტანილ „დიალექტიკას“, ეს აზრი ხომ სრულებით შეუწყნარებელია მეცნიერებისათვის, რადგან, ჰეგელის შეხედულებით, ბუნება მკრთალი გამომსახველია იდეისა და მას (ბუნებას) აზის ბეჭედი ამ მეტაფიზიკურ აზრის მოგზაურობისა.

როგორ და რაში გამოიყენა მარქსმა ეს მეცნიერებაში ყოვლად გამოუსადეგი თეორია?

მარქსი და ენგელსი ამტკიცებდნენ, რომ ცხოვრება კი არ არის „სულის“ და იდეის გამოხატვა, არამედ თვით ეს იდეა და ცნება ცხოვრების გამოსახვა და განმარტება. ამისათვის, დიალექტიური პროცესსი, მაგათ თვალში, ცნების და იდეის განვითარების პროცესსი კი არ არის, არამედ თვით ცხოვრებისა. ცნების დიალექტიკა (діалектика понятія) ცხოვრების დიალექტიურ მოძრაობის ცნობიერ რეფლექსად ჩაითვლება (сдѣлалась сознательнымъ рефлексомъ

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ №№ 1510, 1517.

გურებში ამას იქით სხვა წესით აილებენ ბაჟებსაო.

ორიოლი 13 ივლისს, დილის 9 საათზე, სადგურ ორიოლზე დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე მოვიდა; მის უმაღლესობას სადგურზე გუბერნატორი და უფროსი პირები დაუხვდნენ. მოჟაისკის პოლკმა საპატიო დარაჯები აახლო. სადგურიდან მისი უმაღლესობა სამხედრო ბანაკში წავიდა, სადაც ჯარები დაათვალიერა. ბანაკში დიდმა მთავარმა ოფიცერთა საკრებულოში ისადილა. დღეს დილით მისი უმაღლესობა ფოსტის მატარებლით მოსკოვში წავიდა.

სარატოვი. 13 ივლისს ბეჭდვითი საქმის უმთავრეს მმართველობის უფროსი თავადი შახოვსკოი ცარიცინში და ასტრახანში წავიდა.

სარატოვი. გუშინ საქალაქო სახალხო ტეატრის შენობა მთლად დაიწვა. ცეცხლი დღისით წაეკიდა, იმ დროს, როცა ტეატრში არავინ იყო. ტეატრის მთელი ქონება დაიწვა.

კიევი. თავი-შაქრის და ფხვნილი შაქრის ფასმა ისევ ნორმალურზე ზევით აიწია. შაქარს ფასი იმიტომ დაედო, რომ ეშინიანთ, ვაი თუ დაგვაკლდესო. დამზადებული შაქარი არავის აქვს. ფხვნილი შაქრით რამდენმამე დიდმა მოვაჭრემ სთხოვეს ფინანსის სამინისტროს, ნება მოგვეცი რუსეთის ბაზარში კიდე გავყიდოთ შაქარიო.

კიევი. კიევის გუბერნიაში, ფასტოვის რკინის-გზის არე-მარეში ბევრი ქარხლის ბოსტანი ჭიამ და მატლმა წაახდინა; ერთი ახალი, აქამდე უნახავი, ჭიაც გაჩნდა.

სევასტოპოლი. გუშინ სევასტოპოლიდან ოდესაში რუსის საზოგადოების გემი «ოლგა» წავიდა, გზად ევპატორიაში შეიარა და ნავთ-სადგურში გაჩერდა. საღამოს 9 საათზე უცებ გემის მანქანას ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი მეტად გაძლიერდა: საქონელი, ბარგი და კასსა 20,000 მანეთით მთლად მოსპო ცეცხლმა; გემს მხოლოდ კედლები-ღა შერჩა. მგზავრები გადარჩნენ.

პეკინი. საზღაურის თაობაზე სახელმწიფოებს შუა სრული შეთანხმება ჩამოვარდა.

ბერლინი. დღეს „რეიხსანცეიგერ“-ში ახალი სადამოჟნო ბაჟების და ტარიფების პროექტი დაიბეჭდა.

პეკინი. უცხოელების მეგობარი მეფისმოადგილე ჯანჯიდუნი წინადადებას იძლევა საერთა-შორისო კომისია დავაწესოთ და დავავალოთ, რომ გამოიძიოს, თუ მისიონერები როგორ იქცეოდნენ ჩინეთშიო. ამას გარდა, ჯანჯიდუნმა ინგლისის მთავრობას გეგმა წარუდგინა იმის თაობაზე, თუ ჩრდილოეთ ჩინეთში რანაირად მოსპობილ იქმნას ყაჩაღობაო; ჯანჯიდუნის აზრით, ჩინეთი თავზარდაცემულია ყაჩაღესისაგან; მომეტებულ ნაწილად მოკრივეები და ჩინეთის ჯარისკაცად ნამყოფები ყაჩაღობენო.

ბერლინი. „ნორდ-დაიჩე ცაიტუნგ“-მა სადამოჟნო ტარიფის შესახებ იგივე ცნობები გამოაცხადა, რაც ადრევე «სტუტგარტერ ბეობახტერ“-ში დაიბეჭდა: ესე იგი ცნობები ხორბლისა, საჭმელი სურსათისა და საქონლის ბაჟის შესახებ. არ შეიძლება, რომ 5 მარკაზე ნაკლები იყოს ხელშეკრულობით ჭვავზე დადგენილი ბაჟი; პურზე არა ნაკლებ $5^1/_2$, ქერი—არა ნაკლებ 3, შვრიაზე—არა ნაკლებ 5 მარკ.

ჰაგი. ბიულეტენი, რომელიც პრინც ჰენრიხ ფერდინანდის ავადმყოფობაზე იძლევა ცნობებს, იუწყება, რომ პრინცმა ღამე კარგად გაატარა, სიცხე აღარ აქვს და ავადმყოფი უკეთ ჰგრძნობს თავსაო.

ბერლინი. საბაჟო ტარიფის კანონის გამოქვეყნების გამო „ნორდ-დაიჩე ცაიტუნგი“ ამბობს: მას შემდეგ, რაც, სამწუხაროდ, ნაწილი სადამოჟნო გადასახადების პროექტისა გამოქვეყნდა, კანცლერი იძულებული შეიქმნა დოკუმენტის ოფიციალურ გამოქვეყნების ნებართვა აეღო მოკავშირე მთავრობათაგან. ყველა მთავრობები დასთანხმდნენ ამას. უნდა გვახსოვდეს, რომ პროექტი ჯერ არ განუხილავს მოკავშირეთა რჩევას და ამიტომ იგი არ წარმოადგენს საიმპერატორო სეიმის განხილვის უცვლელ საფუძველს. მთავრობა შემდეგშიაც არ გამოაქვეყნებს საქმის მიმდინარეობას, რათა ხელი არ შეუშალოს კანცლერს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე).

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. რასაკვირველია, ლიბერალ-იმპერიალისტებმა ლორდ როზბერის წერილს პასუხი გასცეს. წარსულ ოთხშაბათს პეტერბოროში ლიბერალებმა კრება მოახდინეს. კრებაზე იმპერიალისტების მეთაურმა ბ-ნმა ედვარდ გრეიმ ილაპარაკა:

«ამ დღეებში,—სთქვა გრეიმ,—ლორდ როზბერის წერილი გამოცხადდა. რეფორმ-კლუბში მომხდარ ლიბერალთა კრებისაგან ლორდი კარგს არას მოელის. როზბერი ჰფიქრობს, ლიბერალებს შუა დიდი უთანხმოება ჰსუფევს და საქმის ამ მდგომარეობაში დატოვება შეუძლებელიაო. ამაზე კამათი და ბაასი უსარგებლო იქნება (ტაშის ცემა). მომავალი გამოაჩენს, ვინაა მართალი და ვინაა მტყუანი (ტაშის ცემა), მაგრამ ერთს კი ვიტყვი. ლორდ როზბერი ამბობს, ლიბერალური დასი ამ ჟამად ორ სკოლადაა გაყოფილიო და საიმპერიო საქმეებში მთელი დასი უსათუოდ ერთი აზრისა უნდა იყვესო. მაგრამ ამ თანხმობის და ერთი პირის მისაღწევად როზბერის მარტო ცალიერი წერილი არა კმარა (ტაშის ცემა). განზე დგომასა და შორიდან ყურებას თავი უნდა გაანებოს, მთელი თავისი გავლენა მოიხმაროს და თანხმობა ჩამოაგდოს. ამის ნაცვლად, წერილის ავტორი გვიცხადებს, სადასო პოლიტიკის ასპარეზზე თავის დღეში ჩემის ნება-ყოფლობით არ დავბრუნდებიო. მაშ რანაირად-და საიდან ეს დაბრუნება? სავალდებულო პოლიტიკური სამსახურის ბეგარა ხომ არ არსებობს (სიცილი). როზბერი აცხადებს: ის პროგრამა, რა პროგრამასაც ლიბერალური დასი რეფორმ-კლუბში დაადგა,—სწორედ რომ ახირებული პროგრამააო. მაგრამ ჩემის მხრივაც უნდა მოგახსენო ლორდს, თითონაც ახირებულად იქცევა. თუ სულ ასე პოლიტიკის გარედ იდგება, ვაი თუ ისეთ მნათობს დაემსგავსოს, რომელიც მნათობთა წრის გარედა სდგას და მხოლოდ ხელს უშლის ამ წრეში მბრუნავ მნათობებს წესიერად იტრიალონ».

ამ წერილის თაობაზე გამოჩენილმა ლიბერალმა მოღვაწემ ჩარლზ დილკმაც გამოსთქვა თავისი აზრი. თუმცა დილკი ლორდ როზბერის ზოგიერთ იმპერიალისტურ აზრებს თანაუგრძნობს, მაგრამ მაინც ბევრს სუსტ ადგილს ჰპოვებს პირველ მინისტრად ნამყოფის წერილში. უველაზე წინ, დილკის აზრით, შეუძლებელია რაიმე განსაზღვრული წრე გავავლოთ და მიჯნები ჩავყაროთ იმპერიალისტებსა და ეგრედ წოდებულ «პაწია ინგლისის» მომხრეებს შუა. პარლამენტის წევრებში ბევრი ისეთი კაციც ურევია, რომელნიც იმპერიალისტურ აზრებს მხარს აძლევენ, მაგრამ იმავე დროს კი სამხრეთ-აფრიკის ომს მტრულად უცქერიან, ანუ ისეთებიც, ვისაც ბრიტანიის იმპერიის უსაზღვროდ და დაუსრულებლივ გადიდება არა ჰსურთ.

«ვესტმინსტერ გაზეთ»-ი ამბობს: «დარბაისელ ლორდს ჯერ გადაჭრით უნდა გადაეწყვიტა: პოლიტიკურ ბრძოლაში მიიღოს მონაწილეობა, თუ სულ ხელი აიღოს ამ ბრძოლაზე. და თუ მონაწილეობის მიღებას გადასწყვეტდა, მაშინ პასუხის გებაც და დასის წინამძღოლობაც თითონვე უნდა ეკისრა».

სამხრეთ-აფრიკა. „მორნინგ პოსტ“-ის კაპშტადტელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საიმპერიო კომისია იმ სამხედრო ბანაკების დასათვალიერებლად მიდის, სადაც ბურების ცოლ-შვილია თავ-მოყრილი. კაპშტადტში იმედოვნებენ, რომ ამ კომისიაში რამდენსამე ისეთ ქალს დაჰნიშნავენ, რომლებსაც ბურების ცხოვრება კარგად აქვთ შესწავლილი. ამასთანა მცოდნე პირების მონაწილეობა აუცილებლად საჭიროა, რომ კომისიამ საქმის ავ-კარგი რიგზე გაიგოს და გამოიკვლიოს.

✿ „ტაიმს“-ის კორესპონდენტი იუწყება, რომ ჰოლანდიის დედოფალმა ვილჰელმინამ თავის ციხე-დარბაზ ლოოში ქ-ნი ბოტა აუდიენციაზე მიიღო. ქ-ნ ბოტას დედოფლისათვის ბანაკებში დამწყვდეულ ქალებისა და ბავშვების საზარელი ყოფა აუწერიაო.

საფრანგეთი. ამას წინად საფრანგეთის 86 დეპარტამენტის 1454 მაზრაში არჩევანი მოხდა. სადეპარტამენტო საბჭოების წევრები უნდა აერჩიათ. ამ არჩევნების შედეგი ჯერ სრულად არაა გამოცხადებული. დეპუტატთა და სენატორების ნახევარი რიცხვი იმავე დროს სადეპარტამენტო საბჭოების წევრებიც არიან. წარსულ შაბათს 74 სენატორს და 140 დეპუტატს უყარეს კენჭი. 74 სენატორისაგან 22 რადიკალურ დასს ეკუთვნის, 46—ზომიერ რესპუბლიკელებისას და 6—მონარქისტებისას. 140 დეპუტატთაგან: 63 ზომიერ-რესპუბლიკელების დასს ეკუთვნის, 21—მონარქისტებისას, 20—რადიკალებისას, 19—რადიკალ სოციალისტებისას, 11—შემოერთებულებისას; 3—რადიკალ-ნაციონალისტებისას, 2—ნაციონალისტებისას და 1—სოციალისტებისასა ამ კანდიდატებში მინისტრად ნამყოფებიც ურევიან: მელინი, რიბო, რუვიე და ეხლანდელი სამინისტროს წევრები—დელკასსე და მეჟო. ეხლანდელი არჩევანი იმითაა საყურადღებო, რომ დასები სხვანაირად არიან განაწილებულნი: რესპუბლიკელები ორად გაიყვნენ: ზოგი ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს მომხრეა, ზოგი კიდევ მოწინააღმდეგე. ამას უნდა დავუმატოთ, რომ 86 დეპარტამენტისაგან 47 საბჭოში ამ ბოლო დროს უმეტესობა ზომიერ რესპუბლიკელებს ეკუთვნოდა, 35-ში—რადიკალებს და 4-ში—რეაქციონერებს.

შეერთებული შტატები. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკელი მუშები ბუმბერაზ ფოლადის სინდიკატს შეებნენ. ამ დღეების შებმას ყველა გაზეთები გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. მართლაც და შესანიშნავია ეს ბრძოლა. ერთი მხრივ მთელს ქვეყნიერებაზე უდიდესი მძლავრი სინდიკატი და მეორეს მხრივ შეგნებული, გონება გაღვიძებული, რიგზე გაწყობილი მუშების კავშირი. მეთაურებიც სწორედ შესაფერისი ჰყავთ. სინდიკატის მეთაური განთქმული, მოხერხებული და გაოსტატებული მორგანია; ამ კაცს ჭიპი აქვს მოჭრილი სინდიკატების გამართვაში. ბევრი დიდი საქმე წაართვა წელს ინგლისელ მრეწველებს და სწორედ ამ მორგანზე და მის სინდიკატზე სჩივიან

діалектическаго движенія дѣйсвительнаго міра). მარქსმა „ყირაზე მდგარი ჰეგელის დიალექტიკა გადმოაბრუნა და ფეხზე დააყენაო“, ამბობს ენგელსი. მხოლოდ დიალექტიკის „ფეხზე დაყენება“ ადვილი საქმე არ არის, დასძენს ბერნშტეინი. მართლაც, რაშია ამ დიალექტიკის „ფეხზე დაყენების“ სიძნელე?

რა არის ცხოვრების დიალექტიური განვითარება, მარქსის განმარტებით? ცხოვრება და ბუნება, ის, რასაც ჩვენ თვალით ვხედავთ, მოვლენათა სამეფოა. ერთი მოვლენა მეორე მოვლენის მიზეზიც არის, შედეგიც. მიზეზია იგი იმ დრომდე, სანამ პირველი მოვლენა განვითარებაში არ შევა და ამ განვითარებაში ძალით არ გადაიქმნება, თავისთავს არ უარ-ჰყოფს და შედეგად არ გადაიქცევა. მხოლოდ შედეგად გადაქცეული ახალი მოვლენა იწყებს იმავე მოძრაობას და ჯერ მიზეზის როლს ასრულებს, მერე ისევ ახალ შედეგად ხდება ხოლმე. ასე განუწყვეტლივ.

მოვლენათა ამგვარი ცვალებადობა და მრავალგვარობა დაფუძნებულია იმ ფილოსოფიურ დებულებაზე, რომლის ძალითაც ბუნებაში და ცხოვრებაში ვითამდა ყოველთვის რაოდენობა თვისებად იქცევა ხოლმე (количество переходитъ въ качество). მართლაც, ერთი თვისების მოვლენა ვითარდება და ამ ვითარების შედეგი ამ მოვლენის უარ-ყოფაა და ახალი თვისების მოვლენის შექმნა. რა არის ეს პროცესსი, თუ არ რაოდენობის თვისებად ქცევა? რაოდენობა ბუნებაში და ცხოვრებაში თვისებად ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში იქცევაო, ამბობდა ჰეგელი. ამასვე იმეორებს მარქსიც და ცხოვრების დიალექტიურ პროცესს სწორედ ამ ვითამდა მეცნიერულ კანონზე ამყარებს.

მხოლოდ, მართლა ეგრეა ცხოვრება შიდ ბუნებაში? ცხოველთა სამეფოში ერთი ოჯახის ცხოველი, დროთა განმავლობაში, ბუნებრივ შერჩევის და სხვა პირობათა ძალით, ვითარდება და ხშირად ფორმასაც იცვლის, მხოლოდ ამ ფორმის შეცვლას აქვს თავისი საზღვარი: ერთი ოჯახის ცხოველი, რაც უნდა გადასხვაფერდეს მისი ფორმა, თავის დღეში ისე არ შეიცვლება, რომ თავისი ოჯახის თვისებები დაჰკარგოს. კაჭკაჭი, მაგალითად, შეიძლება, დროთა განმავლობაში, სხვა ფრინველს დაემგზავსოს, მხოლოდ თავის დღეში იგი ძროხად არ იქცევა. ბუნების მეტყველებაში ამგვარი გადასხვაფერება შეუწყნარებელია. რაკი ეს ასეა, მაშ ისიც არ ყოფილა მართალი, ვითომ რაოდენობა ყოველთვის თვისებად იქცევა ხოლმე.

ფსიხო-ფიზიოლოგიამ დაამტკიცა, რომ ადამიანში ორნაირი პროცესსია—ფსიხიური და ფიზიკური. ერთი პროცესსი ხშირად მეორე პროცესსის მიზეზია, მხოლოდ არასოდეს ფსიხიური პროცესსი არ გადადის ფიზიკურში და არც ფიზიკური ფსიხიურში. ფიზიკურ პროცესსის გადასვლა ფსიხიურში ხომ ენერგიის დაკარგვას მოასწავებდა და დაარღვევდა ენერგიის შენახვის კანონს (законъ сохраненія энергіи). მხოლოდ მეცნიერებაში ეს კანონი შეურყეველ კანონად ითვლება, მაშასადამე, იგი აუქმებს იმ მოსაზრებას, ვითომ შესაძლებელი ყოფილიყოს ფიზიკურ ენერგიის ფსიხიურ ენერგიად ქცევა. და თუ ეს ასეა, მაშ ფსიხო-ფიზიოლოგიაშიაც არ მართლდება ის ჰიპოტეზა, რომ რაოდენობა ყოველ შემთხვევაში შეიძლება თვისებად იქცეს ხოლმე. ასე, რომ ეს კანონი არ მართლდება არც ბიოლოგიაში, არც ფიზიკაში, ამიტომაც ის, რაც ჰეგელს და მარქსს შეუცდომელ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ, ამგვარი ჭეშმარიტება არ ყოფილა და, რადგან ეს „ცრუ ჭეშმარიტება“ დიალექტიურ პროცესს საფუძვლად უდევს, ამისათვის ამ დიალექტიურ პროცესსაც აქვს ამნაირი ყალბი და შეუწყნარებელი ხასიათი. ირღვევა-რა დიალექტიურ პროცესის ფილოსოფიური განმარტება, არ შეიძლება არ დაირღვეს ის სოციოლოგიური შენობაც, რომელსაც «დიალექტიურ მატერიალიზმს» უწოდებენ მარქსი და ენგელსი.

ამ სამ წერილში ჩვენ მოკლედ, სქემატიურად, აღვნიშნეთ ზოგიერთი სუსტი მხარე „მარქსიზმისა“, ამ მოძღვრების სოციოლოგიური ნაწილისა. ჩვენ ვნახეთ, რომ ადამიანის პრაქტიკული მოქმედება მოითხოვს ასპარეზის სიფართოვეს და ის ვერ დაექვემდებარება ობიექტიურ, კაცისაგან დამოუკიდებელ, უმიზნო და უაზრო ცხოვრების ცვალებადობას. ვნახეთ აგრეთვე, რომ მარქსის ისტორიული პრობლემა არა მეცნიერულ, მეტაფიზიკურ საძირკველზეა აგებული და რომ მისგან მოწონებული „დიალექტიური მეთოდი“ ჰაეროვან აზროვნების სამეფოს ეკუთვნის.

ამ სამ კითხვას შემდეგში ჩვენ უფრო ვრცლად შევეხებით. ამ წერილის დასასრულებლად კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ შეხედულება მარქსის სოციოლოგიურ პრობლემაზე, ამ პრობლემის სისუსტის გამოაშკარავება, არ გვიშლის მივიღოთ მისი ზოგიერთ ეკონომიურ კითხვების განმარტება, როგორიცაა, მაგალითად, შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობის კითხვა და ამ წინააღმდეგობის გაუქმებისათვის შრომის გასაზოგადოებრივების (обобществленіе труда) საჭიროება. ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რათა ხელ-მეორედ მოვაგონოთ მკითხველს, რომ ისტორიული და საზოგადოებრივი კითხვები ლოღიკურად არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიურ ცხოვრების იმ თუ ამა განმარტებასთან.

არჩილ ჯორჯაძე.

ინგლისელი მოგაჭრეები, როცა ამბობენ, „ამერიკელებმა ღამის გაჭრობა და მრეწველობა ხელიდან წაგვართვესო. ამას გარდა, გერმანიის მრეწველობის კრიზისსაც მოზეტებულ ნაწილად მარგანის სინდიკატს აბრალებენ; მარგანის მოცილეობამ ბოლო მოუღო გერმანიის მრეწველობასაო. არც თუ თითონ ამერიკელები არიან ამ სინდიკატის მადლობელნი. მთელი ქვეყანა უჩივის, მაგრამ ვერც საზოგადოება და ვერც თითონ მთავრობა ვერასა ხდება უთვლად ძლიერ სინდიკატთან. პირიქით, თითქმის მთავრობაც თავის ყურ-მოჭრილ მონად აქცია ამ სინდიკატმა. და აი ეხლა ამ საშინელ დევ-სინდიკატს მუშების კავშირმა გამოუცხადა ბრძოლა. არც ერთი მხარე არა ხუმრობს. მუშები თავის მხრივ აცხადებენ: უკანასკნელ დღეებში ჩავცვივდით და ჩვენსას კი გავიყვანთო; მარგანი კიდე უპასუხებს, მთელ ჩემს სიმდიდრეს ამ ბრძოლას გადავაგებ, უკანასკნელ დოლარზე ხელს ავიღებ და მუშებს კი არ დავუთმობო, რადგანაც მაშინ მთელი ჩემი საკუთრება დამეკარგება და მთელი ჩვენი სინდიკატიც მუშების ხელში ჩავარდებაო.

მუშების მეთაური შეფერიც ნაკლები შესანიშნავი კაცი არაა თურმე. ტანადობით ნამდვილ დევ-გმირსა ჰგავს, მახვილი სახე და ცოცხალი შავი თვალები აქვს, სოოცარი მხნეობის პატრონია, მუშებზე ხომ უსაზღვრო გავლენა აქვს. შეფერი ახალგაზდობას უბრალო მუშად ფოლადის ქარხანაში, მერე დვთის-მეტყველების ინსტიტუტში შესულა, მშვენივრად გაუთავებია და მეთოდისტის სარწმუნოების მქადაგებლად გამხდარა. ბოლოს უარ-უყვია მქადაგებლობა და ისევ ფოლადის ქარხანაში უბრალო მუშად შესულა. მალე ფოლადის ქარხნის მუშებმა თავიანთ კავშირის თავმჯდომარედ აარჩიეს და მას აქეთ შეფერი სულით და გულით ემსახურება მუშების საქმეს.

მუშების მეთაურს უთქვამს ზოგიერთი ჟურნალისტისათვის, რომ „მარგანის სინდიკატი უკვე ჩვენს ხელშიაო; თუ საჭირო იქმნება, ხვალვე 500,000 კაცი მენახშირე მუშა მოგვეშველება და მერე კიდევ ამერიკის მუშების ფედერაციის 800,000 წევრი, ასე, რომ ბუმბერაზ სინდიკატს მილიონი მუშა დაუწყებს ბრძოლას. რა მგონია, მარგანმა გაბედოს და ასეთ დიდ განსაცდელში ჩააგდოს თავისი საქმე და ასეთი დიდი პასუხის გება იკისროს. უსათუოდ კისერს მოგტეხთ სინდიკატს. მაშინ ნამდვილ თავისუფლების დრო დადგება, ამერიკელ მუშებს შესაფერისად მოექცევიან და მუშების კავშირების თხოვნებს უკლებლივ შეასრულებენ“.

შეფერი იმ აზრისაა, რომ გაფიცული მუშები წესიერად უნდა იქცეოდნენო და ამიტომაც გაფიცვა ჩინებულად მიმდინარეობს, წესიერება არსად დარღვეულა. გაზ. „გლობ“-ის ცნობით, გაფიცულ მუშების რიცხვმა 60,000 მიაღწიაო. ყველა მხრიდან გაფიცულებს ფულსა სწირავენ. სინდიკატის წევრები კი არწმუნებიან, გაფიცულთა რიცხვი 35,000 კაცს არ აღემატებაო. ასე თუ ისე, სინდიკატს კი ცუდი დღე ემართება თურმე. ერთგან ლითონის საზოგადოების 370 ქარხნიდან 369 უკვე დაკეტილია, 7290 ნასწავლი ოსტატისაგან 6966 გაფიცვას მიმხრობია; მეორე საზოგადოება იძულებული ყოფილა 166 ქარხანა დაეკეტნა, აქაც 7000 ნასწავლ ოსტატთაგან მხოლოდ 250 არ მიუღია მონაწილეობა გაფიცვაში. მარტო ფოლადის ქარხნების სამ საზოგადოებას 375,000 ფრანკი ზარალი მოსდის დღეში. მართალია, სინდიკატის წევრებს დიდი თანხა აქვთ, თითქმის ხუთი მილიარდი, ამას გარდა მარგანსაც საკუთრივ ბევრი მილიარდი აქვს, მით მაინც ამოდენა ზარალი, რასაკვირველია, სინდიკატის სქელი ჯიბისათვის საგრძნობელი იქმნება. ამიტომ მარგანი ძლიერ ეცადა, შეფერი და სხვა მეთაურები როგორმე დაეყოლიებინა, რომ გაფიცვა ცოტა უფრო გვიან მოეხდინათ, მაგრამ ვერას გახდა. გაფიცულ მუშებს პენსილვანიის მენახშირე მუშებიც მიემხრობიან: ერთ ადგილას 43,000 კაცს აუღია ხელი მუშაობაზე, მეორე ადგილას კიდე — 12,000. ჩიკაგოში ლუდის ქარხნების მუშებიც მიემხრობიან გაფიცვას. მქვსი ლუდის ქარხნის პატრონი უკვე შეშინებულა და მუშების თხოვნები შეუსრულებია.

ყველა ამერიკელ გაზეთებს მუშების მხარე უჭირავთ, საზოგადოებაც გულწრფელად თანაუგრძნობს. ერთი გერმანული გაზეთი სწერს: «მუშებმა ცხადად დაამტკიცეს, რომ ფოლადის დევ-სინდიკატს ფეხები ფაფისა ჰქონიათ და იქმნება მალე სულაც დაეცეს და ეს შესანიშნავი ბრძოლა მუშების გამარჯვებით გათავდესო».

ახალი ამბავი

✦ მესამე კლასიკურ გიმნაზიის დირექტორმა დანიშნა პედაგოგიურ რჩევის სხდომა მომავალ სამოსწავლო წელს ახალი წესის შემოღების გამო. ამგვარივე სხდომები მოხდება სხვა გიმნაზიებშიაც და შემდეგ, ბ. მზრუნველის თავმჯდომარეობით, მოხდება შეერთებული სხდომა მთელის მასალის ერთად განსახილველად.

✦ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ ა. ა. ფრეზემ დაამტკიცა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მიერ მოხდენილი განაწილება კავკასიის სტიპენდიებისა. სულ წელს დაენიშნათ სტიპენდია 22 კაცს, რომელთა შორის მხოლოდ ერთია ქართველი (ზურაბ მაჩაბელი, რომელმაც ქუთაისის გიმნაზია ოქროს მედლით გაათავა).

✦ აქამდე პროგიმნაზიებიდან და რეალურ სასწავლებლებიდან **ებრაელ მოსწავლეებს** იღებდნენ გიმნაზიებში სწავლის განსაგრძობად მიუხედავად იმისა, იყო სასწავლებელში სრული კომპლექტი ებრაელებისა, თუ არა. ეხლა, საერო განათლების მინისტრის განკარგულებით, ამისთანა შემთხვევებში უთუოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლე ებრაელების პროცენტი.

✦ კავკასიის სამხედრო ოლქის ინჟენრების უფროსი გენ.-ლეიტ. რუტკოვსკი წავიდა ბათუმში **მომხდარ უბედურების** მიზეზების ადგილობრივ გამოსაკვლევად.

✦ **სახალხო კითხვათა კომისია** სთხოვს ტფილისის ქალაქის გამგეობას ნებართვას, ავჭლის აუდიტორიას მიუშატონ პატარა შენობა. გარდა ამისა, კომისია თხოულობს აუდიტორიასთან აშენებული ფარდულის დათმობას ტანისამოსის შესანახად.

✦ ეკატერინენფელდის (ბორჩალო) **კოლონისტებმა** განუცხადეს მთავრობას, რომ მათ წელს არ შეუძლიათ გადაიხადონ კუთვნილი გადასახადები, რადგანაც მეტად დაზარალდნენ სეტყვისაგან.

✦ ხუთშაბათს, 12 ივლისს, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სადგომში მოხდა **საჯარო გაჭრობა** იმ მამულებისა, რომელთა პატრონებმა ბანკში დროზე კუთვნილი გარდასახადი არ შეიტანეს, და რომელნიც გაუყიდველნი დარჩნენ 21 23 და 25 ივნისს ვაჭრობაზედ. გასასყიდად დანიშნული იყო სულ 7 მამული, 4 ტფილისისა, 1 სოფლისა და 2-იც სხვა ქალაქებისა. ტფილისის მამულებიდან ერთი დარჩა ბანკს, ხოლო სამი მამულის პატრონებმა უკვე წარადგინეს ბანკში ხვედრი გარდასახადი. დანარჩენი 1 სოფლისა და 2 სხვა ქალაქის მამულებიც ბანკს დარჩა.

✦ დღეიდან, 15 ივლისიდგან, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო **გამოფენის გამგე კომიტეტის კანცელარია** გადადის გამოფენის პავილიონებს ახლო, ტფილისის საბალოსნო სკოლის სადგომში.

✦ გუშინ **გამოფენის კომისარს** ნახიჩევანის მაზრის უფროსისაგან მოუვიდა 30 განცხადება სხვა და სხვა პირთა, რომელთაც მონაწილეობა ჰსურთ მიიღონ გამოფენაში.

✦ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის თვით-მმართველობას, რომ წელს მთავრობამ გადასდო ტფილისის ჯარების სადგომების ხარჯში დასახმარებლად 65.000 მ. აქამდე ქალაქი იღებდა 68.200 მან.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ტფ. ცხენის რკინის გზის კონცესიონერის წარმომადგენელთა და ქალაქის გამგეობის შორის ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, აქვს თუ არა უსახელო საზოგადოებას ნება თავისით გარეშე პირებს მისცეს ტრამვაის უფასო ბილეთები ზოგიერთ დაწესებულებათა შესახებ ქალაქის გამგეობამ განაცხადა, რომ მას არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო, თუ უსახელო საზოგადოების გამგეობა საჭიროდ დაინახავს და მისცემს მათ უფასო ბილეთებს; საზოგადოების დირექტორნი ბლანშე და რიდზინსკი მაინც არ დასთანხმდნენ, არავის ბილეთებს არ აძლევენ, ვიდრე არ გამოირკვევა საკითხი ამ ბილეთების გაცემის უფლების შესახებ. ამიტომაც მათ ამ დღეებში მისწერეს ქალაქის გამგეობას, განეხილა ეს საგანი პრინციპიალურად და მაზე თვისი აზრი გამოეთქვა; ამ საგნის განსახილველად ქალაქის გამგეობას სხდომა ექმნება მომავალ კვირაში.

✦ ქალაქის ტეხნიკოსი აგანჯანოვი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ტრამვაის **უსახელო საზოგადოება** შეუდგა ტრამვაის გზის ლიანდაგის შეკეთებას, მაგრამ ეს შეკეთება კაპიტალური არ არისო. ამიტომ საჭირო არის, რომ გამგეობამ ძალა დაატანოს ხსენებულ საზოგადოებას და პირობისამებრ შეაკეთებინოს ლიანდაგი.

✦ მარტყოფში და ახლო სოფლებში დიდი ზარალი მიუყენებია ყანებისათვის **მანდვრის თაგვს**.

✦ ს. მოხისში (ტფილისის მაზრა, მანგლისის ახლო) მემამულე ყავრიშვილს გაუწყვია ფერმა, სადაც მას ჰყავს **ახალის ჯიშის მროხები**: მას შეურევია ალჰაუზისა და ჩვენებური ჯიშის საქონელი, რასაც მეტად კარგი შედეგი მოჰყოლია. ბ. ყავრიშვილს განზრახვა აქვს მომავალ გამოფენაზე წარმოადგინოს თავისი გაკეთებული შვეიცარიული ყველი.

✦ ტფილისში ჩამოვიდა ასტრახანის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი კ. ამოსოვი.

✦ ვინმე აბგარიანცს ხელოვნურ **მინერალურ წყლების ქარხანა** აქვს. ანალიზმა აღმოაჩინა, რომ აბგარიანცი მეტად უსუფთაო წყალს ჰყიდის, რისთვისაც იგი პასუხის გებაში მისცეს. გარდა ამისა, სასანიტარო-საექიმო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა, რომ ან გადაიტანიონ აბგარიანცს ქარხანა სხვაგან, ან სრულებით დაუხურონ.

✦ რადგან ტფილისის პოლიცმეისტერმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ **ცეცხლის მქრობელი რაზმის** სადგომი სიძველისა გამო ყოვლად უვარგისი არისო, ამიტომ განსაკუთრებული კომისია გამგეობის წევრის ჩერქეზიშვილის თავჯდომარეობით დაათვალიერებს ამ სადგომს იმის გამოსარკვევად, ღირს მისი შეკეთება, თუ უკეთესი იქნება ახალის სადგომის აგება.

✦ ამ დღეებში შესდგა შეერთებული სხდომა ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ნიხრის კომისიისა; რადგანაც ეხლა მეტი საქონელი მოდის ბაზარზე, ამიტომ სხდომამ შესაძლებლად დაინახა მოუკლოს საქონლისა და ცხვრის **ხორცის ნიხრს** თითო კაპეიკი.

✦ პოლიციის მე-9 ნაწილში, 13 ივლისის კოლეჟსკი რეგისტრატორმა ნიკოლოზ ზალცმანმა განაცხადა, რომ მისმა მოსამსახურემ დარია ვასილის ასულმა (გვარი არ იცის) მოჰპარა მას სხვა და სხვა ნივთები 100 მან. ღირებული და სადღაც დაიმალა. პოლიციამ საჭირო ზომები იხმარა დამნაშავის აღმოსაჩენ-შესაპყრობად.

✦ გუშინ წინ, პოლიციის მე-10 ნაწილში, გოგიჯანოვის ბაღის პირდაპირ მტკვარში ჩასულა ცხენის დასაბანად ქუთაისის გუბ. ოზურგეთის მაზრის სოფ. საჯავახოს მცხოვრები ენუქა მაქსიმესძე ზაქარაძე, რომელიც ჩაუთრევია წყალს და დაუხრჩვია. დამხრჩვალის გვამი ჯერ ვერ უნახავთ.

✦ პოლიციის მე-10 და მე-9 ნაწილში წვანილისა და ხილის ტაჩკებს უხვდება ერთი ვიღაც ვაჟბატონი, რომელიც თავის თავს ქალაქის სამეურნეო სავაჭრო პოლიციის აგენტად აცხადებს და ახდევინებს თურმე ზოგს მანეთს, ზოგს 50 კაპ. და სხვა. უცნობი აგენტი ასე აზერხებს სანოვაგის ქუჩაქუჩა გამოუცდელ დამტარებლის მოტყუებას. დაუწყებს სანოვაგეს წუნებას ან ეტყვის, რომ ბევრი დაუდვია ტაჩკაზე და აშინებს, ეხლავე პოლიციაში წაგათრევ, თუ არ მომეცით ფულიო და ამნაირად აძრობს ტყავს ხალხს. კარგი იქნება ყურადღებას მიაქცევდნენ, ვისგანაც ჯერ არს, ამ გარემოებას.

პრესსა

„რუსკ. ვედომ.“ ისევ და ისევ ეხებიან იმ უწესოებათ, რომელნიც სუფევენ რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიების სამეურნეო მოქმედებაში და რომელთა მიზეზი ის გარემოებაა, რომ იმ მხარეში დღემდის არ არის შემოღებული ერობა. გაზეთი ყურადღებას აქცევს იმას, რომ იქ გზის ბეგარა მძიმე ტვირთად აწევს კისერზე მარტო გლეხებს, რომ საერობო გადასახადთა ერთი მესამედი ადმინისტრაციაზე იხარჯება, დანარჩენი ან ხელუხლებლად არის, ან საპატიმროებისა და ჯარების საჭიროებაზე მიდის და მხოლოდ ორიოდე გროში ხმარდება ხალხის განათლების საქმეს. ყოველივე ეს ათასჯერ თქმულა და დაწერილა, მაგრამ ერობის მოწინააღმდეგენი ყურს იყრუებენ და გვერდს უხვევენ ამ ფაქტებს.

„საერობო თვითმმართველობის მტერნიო, შენიშნავს გაზეთი, გვარწმუნებენ, რომ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზის გაფართოვება საშიში არის სახელმწიფოსათვისო, მაგრამ ისინი არას ამბობენ იმის შესახებ. თუ როგორი უწესოება არსებობს დღეს უერობო გუბერნიებში და შეიძლება თუ არა, საშიშია თუ არა ამგვარ უწესოების დატევება. ერობის მტერნი არასოდეს არ დაფიქრებულან იმის გამო, შეიძლება თუ არა იმ წეს-რიგის დაცვა, რომლის მეოხებით ხალხის ათას გვარი საჭიროება დაუკმაყოფილებელი რჩება, იმ წეს-რიგის დაცვა, რომელიც ყოველგვარ ბეგარას ერთ წოდებას ახვევს კისერზე და იმავე დროს ამ წოდებას არაფერს აძლევს სამაგიეროს“!

რასაკვირველია, ძნელია ამგვარ უწესრიგობის დაცვა და ამიტომაც, ბოლოს დროს, საერობო თვით-მმართველობის მტრებმა ტაქტიკა გამოიცვალეს: ისინი პრინციპიალურად იწონებენ ერობას, მაგრამ არჩევენ ისეთს ფორმას, რომელიც აჩრდილია მხოლოდ თვით-მმართველობისა. მგელი ცხვრის ტყავში უფრო საშიში მტერია!

*
* *

დიდი ხანია ჩვენს საზოგადოებას აწუხებს ის გარემოება, რომ ჩვენის არტისტების დასი ვერ გაფართოვდა და „ქართულ სცენის ძველს ბურჯებს“ ღირსეული მემკვიდრეები არ რჩებათ. უმთავრეს მიზეზად ამ სამწუხარო მოვლენისა ბ. პ. ყ—ნი სამართლიანად სახავს იმ გარემოებას, რომ ქართული თეატრი დღემდის ვერ აჯილდოვებს თვისს მოღვაწეთ და უზრუნველად არა ხდის მათ ცხოვრებას. ამიტომ ბ. პ. ყ—ნი („ივერიის“ გუშინდელ №-ში) თანაგრძნობით ეგებება დრამატ. საზოგადოების დადგენილებას, რომლის ძალით დაარსდა დაუძლურებულ არტისტების დამხმარებელი ფონდი, და იწვევს საზოგადოებას ენერგიულად შეუდგეს ამ ფონდის გაძლიერების საქმეს. თავის მხრით ბ. ყ-ნი გვიჩვენებს ერთს წყაროს, რომლის საშუალებით ერთის დამსახურებულის არტისტის უზრუნველ-ყოფა მაინც შეიძლება. მომავალ წლის 25 აპრილს სრულდება 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც ქართული სცენის ნამდვილი დამამშვენებელი, ვასო აბაშიძე, სცენაზე გამოვიდა. ბ. ყ-ნი საჭიროდ სთვლის, რომ ამ დღესასწაულით ვისარგებლოთ და შევაგროვოთ ფული ხსენებულ ფონდის გასაძლიერებლად.

„ჩვენის ფიქრით, ეს დღესასწაული უნდა გაიმართოს ყველგან, სადაც მოსახერხებელი და შესაძლებელი იქნება და ეროვნული ხასიათი უნდა მიეცეს. ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, თელავში, გორში და სხვა დაბა-ქალაქებში უნდა გაიმართოს ვ. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენები, რომლის წმინდა შემოსავალი ზემოხსენებულ ფონდს უნდა მიემატოს. ამავე დროს უნდა მიემართოთ ფონდის გასაძლიერებლად ხელის მოწერას.

დღესასწაულის გამართვა, ხელის-მოწერის მოწყობა, პროგრამის გამოკვლევა უნდა იტვირთოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ, ხოლო ამ უკანასკნელმა პროვინციაში უნდა დააარსოს ადგილობრივი კომიტეტები ნიადაგის მოსამზადებლად და დანიშნულ დროზე წარმოდგენის გასამართავად. სადღესასწაულო წარმოდგენის პროგრამა გამგეობამ მოწვეულ პირთა დახმარებით უნდა გამოირ-

კვიოს, ხოლო ხასიათი წარმოდგენისა და პროგრამა ერთი და იგივე უნდა იყოს აქაც და პროვინციაშიაც“.

„ჩვენ დიდი იმედი გვაქვს ამ დღესასწაულისა და თუ იმდენი ფული შეიკრიბა, რომ მის სარგებლით პატივცემულ არტისტს 25 წლის დაუღალავი შრომის შემდეგ დაენიშნება მუდმივი პენსია 400—500 მან. წელიწადში, ეს საზოგადოების მხრით მცირე საზღაური იქნება ხანგრძლივი და სახელოვანი შრომისათვის“.

ბათუმში მომხდარი უბედურება

ივლისის 13-ს კიდევ გამოიღეს ნანგრევებიდან მოკლულების ნაკუწები და ნაფლეთები. ერთ ადგილას, კარგა მოშორებით იმ ადგილიდან, სადაც უბედურება მოხდა, იპოვეს ფაშვი და კუჭი; ეს უკანასკნელი გასინჯეს და შიგ ხიზალალა ნახეს; კუჭი საცოდავი პოდპოლკოვნიკი კრენკეს კუჭათ იცნეს მას შემდეგ, რაც მისმა ქვრივმა სთქვა, რომ უბედურების წინ ნახევარი საათით ჩემმა ქმარმა [ისაუზმარ და, სხვათა შორის, ხიზილალაც სჭამაო; იქვე მახლობლად ნახეს ხელის ნაგლეჯები, თითები, რომელნიც კრენკეს ქვრივმა იცნო მის ქმრის ხელად და თითებად. ეხლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პოდპოლკოვნიკი კრენკე, პორუჩიკი ესიპოვი და მათთან ყოფილი ჯარის კაცები ყველა ნაკუწ-ნაკუწათ ქცეულან და ეს ნაკუწები ყაზარმის გარედ გადმოუყრია აფეთქების ძალას. შუადღისას ჟანდარმებმა მოიტანეს ქალაქში სახლების სახურავებზე ნაპოვნი კაცის ნაკუწები და ნაფლეთები. როგორც სჩანს, აფეთქებას სულ ჰაერში გაუფანტავს მოკლულების ნაწილები და მთელ ქალაქში მოუბნევია.

დღეს, დილის თერთმეტ საათზე დაასაფლავეს ებრაელებმა მათი თანამორწმუნე კაპელმეისტერი ჰაუპტმანი და ერთი მემუსიკე. ხუთ საათზედ დანიშნული იყო გასვენება დანარჩენ მკვდრებისა. ცხრამეტი კუბო ერთად გამოიტანეს ქუჩაში, რადგან ეკლესიაში არ შეიძლებოდა მათი დატევა. რამდენსამე კუბოში მხოლოდ ნაპოვნი ნაგლეჯები და ნაკუწები ეწყო; ერთ კუბოში ეწყო ის ნაწილები, რომელიც შეიცვნეს კრენკესა და ესიპოვის ნაწილებად. პანაშვიდის შემდეგ, ცხრამეტი კუბო ერთი მეორეზე გაემართა ქალაქის ქუჩებში სასაფლაოსკენ. უკან აუარებელი ხალხი მისდევდა. სასაფლაოზედაც დიდ ძალ ხალხს მოეყარა თავი. საფლავი საერთოდ იყო გაჭრილი: უშველებელ საფლავში ჩააწყვეს კუბოები, რომელნიც სამ წყებათ იყო ჩამწკრივებული, ექვს-ექვსი კუბო წყებაში. საერთო მწუხარებით წააფარეს მიწა საცოდავთ და გულდაჩაგრული, გულშეწუხებული ხალხი გამოემართა ქალაქისკენ.

გუშინ ქალაქის საავადმყოფოდან სამი მოკლული გაასვენეს; ამ ხანად იქ შვიდი დაჭრილი წევს; სამხედრო გოსპიტალში კი—ოცდა-შვიდამდე, ზოგიერთი ამათგან მძიმედ არის დაშავებული, ასე რომ მათი მორჩენის იმედი არა აქვთ.

პოდპოლკოვნიკ კრენკეს დარჩა ცოლი, ახალგაზდა ქალი ოთხის შვილით; პორუჩიკ ესიპოვს ის იყო ჯვარი დაეწერა. ზოგიერთი მოკლული ჯარისკაცებიც ცოლშვილიანები იყვნენ.

ქ.

სასამართლო

I

ტფილისის მე-2-ე გილდის ვაჭარს ივანე დავითის ძე ხუდადოვს მთელი თავისი ქონება ანდერძით დაუტოვებია ტფილისის სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის, რომელსაც ანდერძის მიხედვით უნდა მიეცა მეანდერძეს ქ. გორის მცხოვრების ფარსადან დავითის ძის ხუდადოვისათვის 3000 მან. რადგანაც ანდერძი ტფილისის ნატარიუს აწ გარდაცვალებულ პოლტარაცკისთან ყოფილა შესრულებული, მისი შინაარსი სცოდნიათ კანტორაში მსახურთ ნურალოვს, სკვარცოვს და სხვათ. ეს 3000 მან. მიუღია ყალბის ვექილობის საშუალებით ფარსადან ხუდადოვის შვილს ნიკოლოოზს, რომელიც ამ საქმეში შემდეგ გამოტეხილა და ამასთანავე განუცხადებია, რომ ეს ყალბი ვექილობა შეადგინა მწერალმა ნურალოვმა; ამ უკანასკნელის რჩევით, ნ. ხუდადოვს მოუყვანია კანტორაში ერთი ხანში შესული კაცი, რომელსაც უთქვამს, რომ იგი ფარსადან ხუდადოვია. შემდეგ ხელი მოუწერია ვექილობაზე, რომლის ძალითაც ნიკოლოოზმა მიიღო 3000 მან. სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების მდივნისაგან. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიუციათ როგორც მწერალი ივანე ნურალოვი, აგრეთვე ნიკოლოოზ ხუდადოვიც. ტფილისის სამოსამართლო პალატას გარდაუწყვეტია მათთვის ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა—ნურალოვისათვის $1^1/_2$ წლისა, ხოლო ნ. ხუდადოვისათვის ერთის წლის ვადით. ამის შემდეგ 1900 წ. 12 ივნისს, ნიკოლოოზ ხუდადოვს ტფილისის პოლიცმეისტრისათვის მიუცია განცხადება, რომელშიაც უთქვამს, რომ ნურალოვის მიერ ყალბად შედგენილ ვექილობაზე რომ ხელი მოაწერა მამიჩემის მაგიერად, ეს კაცი ივანე სარაძე იყოვო. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულ ტფ. მაზრის სოფ. საგარეჯოს მცხოვრების ივანე გიორგის ძის სარაძის (57 წლისა) საქმე განიხილა 13 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლომ. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი ბ. ი. ჯაბადარი. როგორც ნიკოლოზ ხუდადოვის საქმის გამოძიების დროს ჩვენებიდან, საქმის მეთაურად გამოდის ნურალოვი; ხუდადოვმა თურმე არც კი იცოდა ანდერძის შესახებ არაფერი და ნურალოვისავე რჩევით მონახა მამის მაგიერი კაცი. ნაფიც ვექილმა ბ ნმა ი. ჯაბადარმა თვის სიტყვაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სირაძე შეაცდინეს, როგორც გამოუცდელი და შეუსმენელი კაცი. რომ მას სცოდნოდა შინაარსი საქმისა, იგი ხელს არ მოაწერდა ყალბს ვექილობას, მით უმეტეს, რომ იგი არასფრით არ იყო დაინტერესებულიო. ბოლოს ვექილმა ითხოვა შეღავათიანად მოჰკიდებოდნენ ბრალდებულს. ბრალდებულმა თვის უკანსკნელს სიტყვაში სთქვა, რომ იგი დამნაშავე არ არის. რომ იგი მთვრალი იყო, შეაცდინეს და ხელი მოაწერინეს და ითხოვა გამართლებინათ. სასამართლომ, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დამნაშავედ იცნო სირაძე და გარდაუწყვიტა ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა.

II

პარასკევს, 13 ივლისს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ტფილისის გუბერნიის მცხოვრებ ყარამან დავითის ძე ორჯონიკიძისა, რომელსაც შემდეგი დანაშაულობის ჩადენა ედებოდა ბრალად: 1901 წლის 3 აპრილს, პოლიციის მე-9-ე ნაწილში კვირაცხოვლობის ქუჩაზე, მდგარან ერთად რამდენიმე ყმაწვილი; მათ შორის ილია კურხულიც, 15 წ. ამ კურხულს ამხანაგებისათვის უთქვამს, რომ იგი აპირობს შაქრო თუმანიშვილის დას გაუარშიყდეს; ეს გაუგონია იქვე მდგომს შაქრო თუმანიშვილს და დაუწყია ტირილი ჭ წასულა თავის ბიძაშვილს ყარამან ორჯონიკიძესთან; ორჯონიკიძეც მოსულა იმ ადგილზე, სადაც ყმაწვილები ყოფილან შეკრებილნი; აქ წალაპარაკებულან კურხული და ორჯონიკი და ჩხუბიც მოსვლიათ; ჩხუბის დროს, როგორც ზოგიერთმა მოწმეებმა სთქვეს, უძგრია ბებუთი ყარამან ორჯონიკიძეს და მუცელში ჩაუკრავს კურხულისათვის, რომელიც მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ. ექიმების შემოწმებით, ჭრილობა საშიში აღმოჩენილა ასე, რომ შემთხვევით გადარჩენილა კურხული სიკვდილს; ამის გამო პასუხის გებაში მიეცა ორჯონიკიძე, როგორც კაცის მოკვლის განმზრახველი.

13 ივლისს, საქმის გარჩევის დროს, ბრალდებულმა სთქვა, რომ მას არავითარი განზრახვა არ ჰქონია მოეკლა კურხული. ჩხუბის დროს აღარც კი მახსოვს, როგორ დავკარი დანაო. ბრალდებულის დამცველმა გ. რცხილაძემ თვის სიტყვაში ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შეკრებულ ლაზღანდარა ყმაწვილების ქცევით გამოწვეულ ორჯონიკიძეს ჩხუბი მოუვიდა მათთან და სრულიად მოკვლის განუზრახველად შემთხვევით დაუჭრია კურხული. ამიტომ ვითხოვ გამართლებულ იქმნეს ორჯონიკიძე კაცის მოკვლის განზრახვის ბრალდებისაგან და ამ დაჭრისათვის მცირე სასჯელი გარდაეწყვიტოსო. ოლქის სასამართლომ, თანახმად ვექილის თხოვნისა ბრალდებულს მხოლოდ 2 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება გარდაუწყვიტა.

საღამოს დეპეშები

14 ივლისს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, რომ კალუგის ყოვლად უსამღვდელოესი მაკარი, მისი თხოვნის თანახმად, მოხუცებულობის გამო დათხოვნილ იქმნას ეპარქიის მმართველის თანამდებობიდან და მის მაგიერ კალუგისა და ბაროვის ეპისკოპოსად პეტერბურგის ეპარქიის პირველი ვიკარი გდოვის ყოვლად უსამღვდელოესი ვენიამინი დაინიშნოს.—ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილ ინება და ბრძანა, რომ კიევის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი კონსტანტინე პეტერბურში გდოვის ეპისკოპოსად დაინიშნოს.

ბათუმი. რადგანაც კონსტანტინეპოლის შავის ზღვის მხრით საშიშრადაა ცნობილი, ამიტომ ბათუმსა და ოსმალეთის ნავთ-სადგურებ შუა ნავების ნაპირ-ნაპირ მიმოსვლა აიკრძალა.

ბათუმი. აფეთქებულ შენობებს ჯერ კიდევ სთხრიან და დაღუპულ კაცებს ეძებენ. დაიღუპნენ მენაღმეთა როტის უფროსი პოდპოლკოვნიკი კრენკე და ამ როტის პორუჩიკი ესიპოვი, დაიღუპა აგრეთვე ბატარეიაზე მყოფი არტილერისტების ხორის კაპელმეისტერი გაუპტმანი. აფეთქებისაგან 30 ჯარისკაცი მოკვდა, 20 დაიჭრა. შენობები ბატარეის ახლო დაზიანდა, მაგრამ არ დანგრეულა კი. ბევრ შენობებში შუშები დაიმსხვრა. ბევრი გარეშე პირთაგანიც მოკვდა და დაიჭრა აფეთქებისგან. ძრიელ დაზიანდა ტელეგრაფისა და ტელეფონის მავთულები; საღამოთი კი ისევ შეაკეთეს. ჯარისკაც დარაჯ ბუციგანს, რომელსაც მხუმბუქად ხელი დაუშავდა, რაკი გაეგო რომ დარაჯების უფროსი და დარაჯების დამყენებელი დაღუპულიყვნენ, თავის ადგილისთვის თავი არ დაენებებინა და განეცხადებინა, რომ მხოლოდ ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით გამოვიცვლებიო. მეციხოვნე არტილერიის დროებით ზედამხედველმა ამის თაობაზე სამხედრო მინისტრს დეპეშა გაუგზავნა და სთხოვა, ეს ამბავი ხელმწიფე-იმპერატორს მოახსენეთო. ღამის 12 საათზე ბათუმში ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანება მოვიდა, დარაჯი ჯარის კაცი გამოსცვალეთო და მხოლოდ მაშინ გამოსცვალეს დარაჯი ბუციგინი. დღეს დიდი ხალხის თანადასწრებით უბედურების მსხვერპლნი დაასაფლავეს.

სოფია. „ბალკანეთის სააგენტო“ შენიშნავს, რომ ცნობა, ვითომც ბოლგარიის მთავარ ფერდინანდს ეწადოს, თავის თავი მეფედ გამოაცხადოს—ცრცხალი ტყუილიაო.

კონსტანტინეპოლი. პორტა (ოსმალეთის მთავრობა) აცხადებს, რომ ცნობები, ვითომც ალბანელები ქალიშინის ოლქის სოფლებში სერბიელებს ძალმომრეობით ექცევიან და ჰკლავენ—სწორე არააო. კოსსოვას ჯარების უფროსი ხური-ფაშა მშვიდობიანობის აღსადგენად მიტროვიცაში მივიდა. რადგანაც რუსეთის ელჩმა ზინოვიევმა ბეჯითად მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას, ალმანელების ქცევას ყურადღება მიაქციეო, ამიტომ ძველ სერბიაში ადგილობრივ მოხელეებს უბრძანეს, რომ ალმანელების წინააღმდეგ ღონისძიება მიიღონ. უსამართლოდ დატუსაღებული სერბები გაანთავისუფლეს. ილდიზ-კიოსკში (ხონთქრის სასახლეში) პირობას იძლევიან, ყოველ ღონისძიებას მივიღებთ, რომ ძველ სერბიაში წესიერება აღვადგინოთო.

კონსტანტინეპოლი. საფრანგეთის ელჩმა კონსტანმა პორტას ნოტა გადასცა. კონსტანი თხოულობს ამ ნოტათ, რომ „სოსიტეე დე კე“-ს (წყლის სანაპიროების საზოგადოება) ყოველი მისი უფლება, ხონთქარის ფირმანის (ბრძანების) მიერ მიცემული, დაუბრუნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის მთავრობა ხსენებული საზოგადოების ინტერესების დასაცველად საჭირო ღონისძიებას თითონ მიიღებსო. როგორც ისმის, თუ პორტას პასუხი დამაკმაყოფილებელი არ იქნება, კონსტანი კონსტანტინეპოლს მიატოვებსო.

პეტერბურგის ბირჟა 13 ივლისს.

ვექსელის კურსი 3 თვით

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	$45,97^1/_2$
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	$37,57^1/_2$
ბირჟის დისკონტი	$5^1/_2$—[illegible]
4% სახელმწიფო რენტა	$96^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$100^1/_4$ გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	96 გამყიდ.
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	417 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	319 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	224 „
$3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი **ალ. ჭყონია.** გამომცემელი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუკით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14 Іюля 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.